



ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია

იდეების კონკურსი

დებულება

ბაღდათი 2019

## **მუხლი 1. კონკურსის მიზანი:**

- ა) ახალგაზრდების მონაწილეობის და ჩართულობის გაზრდა, ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში.
- ბ) „ახალგაზრდული სტრატეგია 2019-2021“ ფარგლებში ახალგაზრდების აქტუალური პრობლემების იდენტიფიცირება და სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების ეტაპობრივი განხორციელების უზრუნველყოფა.
- გ) ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა და წახალისება.
- დ) სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## **მუხლი 2. ორგანიზატორი:**

- ა) ახალგაზრდების მონაწილეობის და ჩართულობის მიზნით გამოცხადებული იდეების კონკურსის ორგანიზატორია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური.
- ბ) ორგანიზატორი ადგენს კონკურსის დებულებას, წესებს, ირჩევს ჟიურის, განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების ვადებს. ორგანიზატორი განიხილავს და აგვარებს კონკურსის წესების დარღვევასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს.

## **მუხლი 3. კონკურსის პირობები და ვადები**

- ა) ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ იდეების კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 14-29 წლის ახალგაზრდებისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფებს.
- ბ) პრიორიტეტი მიენიჭებათ ასევე პროექტებს, რომელთა განხორციელებაც იგეგმება ახალგაზრდული ორგანიზაციების მონაწილეობით (სკოლები, ახალგაზრდული ცენტრი, კულტურის ცენტრი, ბიბლიოთეკა) გათვალისწინებული უნდა იყოს, წარმოდგენილი პროექტების შედეგების შეფასება მუნიციპალიტეტის მიერ.
- გ) საპროექტო განაცხადი უნდა ეხებოდეს ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტით გაწერილ მიზნებსა და ამოცანებს. შესაძლოა ერთი იდეა ფარავდეს რამდენიმე მიზანს.
- დ) ერთ საინიციატივო ჯგუფს აქვს მხოლოდ ერთი იდეის წარმოდგენის უფლება. რამდენიმე იდეის შემთხვევაში სათათბირო განიხილავს დროში პირველად წარმოდგენილ იდეას.
- ე) კონკურსი გაიმართება სამ ეტაპად. პირველ ეტაპი ითვალისწინებს საინიციატივო ჯგუფის მიერ საპროექტო იდეის წარმოდგენას, მეორე ეტაპზე სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ მოხდება ყველაზე საინტერესო, ინოვაციური იდეის შერჩევა. კონკურსის მესამე ეტაპზე მოხდება პროექტის დაფინანსება, განხორციელება და საბოლოო ანგარიშის წარმოდგენა.
- ვ) განხორციელების მაქსიმალური ვადაა 3 თვე.
- ზ) პროექტის დაფინანსების მაქსიმალურ თანხა შეადგენს 1000 ლარს.

თ) გამარჯვებული პროექტის საინიციატივო ჯგუფს თანხა ხელზე არ გადაეცემა. მუნიციპალიტეტი თვითონ უზრუნველყოფს პროექტში გაწერილი ბიუჯეტის შესაბამისად რესურსების შეძენას. პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება ხელფასები და ჰონორარები, ხარჯები პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროექტის განხორციელებასთან.

ი) კონკურსის საპროექტო განაცხადში მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

1. განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაცია(CV)
2. პრობლემის განსაზღვრა
3. პროექტის მიზანი
4. მოსალოდნელი შედეგები
5. ზუსტად ფორმულირებული და დაანგარიშებული ბიუჯეტი.
6. დროში ეტაპობრივად გაწერილი სამუშაო.

#### **მუხლი 4. კომისია**

კონკურსის ბოლო ეტაპზე შედეგებს შეაფასებს ორგანიზატორების მიერ არჩეული კომისია კომისიის ყველა წევრი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას. ორგანიზატორი არ ერევა კომისიის საქმიანობაში. კომისიის წევრი, არაობიექტურობის შემთხვევაში იხსნება კომისიის შემადგენლობიდან და უქმდება მისი შეფასება. კომისიის ყველა წევრი ვალდებულია, იცნობდეს კონკურსის დებულებას და წესებს.